



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

29 12

„-----“-----“ 2016 წელი

ეგზ N1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2015 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული საანგარიშგებო

პერიოდისთვის კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის

ანგარიში N88/36

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები 4

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 8

სხვა საკითხთა აბზაცი 8

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 11

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული დანართი ფორმები N1- N12.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები აქციები და სხვა კაპიტალი

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აქციებისა და სხვა კაპიტალის მუხლში (ანგ.#1520) ასახულია 272,987,038 ლარი. აღნიშნული თანხა მოიცავს სააგენტოს მიერ მის მართვაში მყოფი საწარმოების კაპიტალში ფულად შენატანებს. მათ შორის საწარმოთა ნაწილი უკვე ლიკვიდირებული, პრივატიზებული, გაკოტრებული ან სხვა ორგანიზაციებზეა გადაცემული. ასეთი საწარმოების კაპიტალში შენატანების ოდენობა 72,560,063 ლარს შეადგენს. გამომდინარე აქედან, გრძელვადიანი აქციებისა და სხვა კაპიტალის მუხლი არასწორად გაზრდილია 72,560,063 ლარის ოდენობით².

2015 წელს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სახელმწიფო საწარმოების კაპიტალში ფულადი და ქონებრივი სახით სულ განხორციელებული აქვს 201,028,668 ლარის შენატანი. სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია მხოლოდ ფულადი შენატანები 34,231,289 ლარის ოდენობით, ხოლო ქონებრივი შენატანები - 166,797,379 ლარი ბუღალტრულად ასახული არ არის. შედეგად გრძელვადიანი აქციებისა და სხვა კაპიტალის მუხლი 166,797,379 ლარით არის შემცირებული.

2015 წელს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მისი მართვის ქვეშ მყოფ საწარმოთა კაპიტალიდან ამოღებული აქვს 951,594 ლარის ქონება. აღნიშნული ოპერაციები სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებში და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აქციებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთის სისწორეზე.

მოთხოვნები და ვალდებულებები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2015 წლის ბოლოსათვის ირიცხება ისეთი დებიტორული - 4,649,130 ლარის და კრედიტორული - 997,501 ლარის დავალიანებები, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება.

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს მოთხოვნად ასახული არ აქვს შპს „ჰაიგმასტერზე“ ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 435,252 ლარის თანხიდან 65,540 ლარი.

2015 წლის ბოლოსათვის სსიპ - ბათუმის საზღვაო აკადემიისთვის გადაუხდელი სწავლების საფასური საერთო თანხით 16,197 ლარი ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად ასახული არ არის.

² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ლ.

საბიუჯეტო სესხი

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის N1568 განკარგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიაში სასტუმროსა და იახტ-კლუბის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო და შპს „სანიზე“ სესხის სახით გაიცა 2,000,000 ლარი. შპს „სანიმ“ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. 2013 წლის 25 ნოემბერს გაცემული სააღსრულებლო ფურცლით მას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გადახდა: 1,864,445 ლარი ძირითადი თანხისა და 632,745 ლარი საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს სახით.

სამინისტროს აპარატის 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე #3311 („გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით“) აისახა მხოლოდ 632,745 ლარი (პროცენტი და ჯარიმა), ხოლო სესხის ძირითადი თანხა - 1,864,445 ლარი დაფიქსირებულ იქნა წმინდა ღირებულების ანგარიშზე #5100, ნაცვლად ვალდებულებების ანგარიშისა. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სესხის გადასახდელი ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი და ჯარიმა უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, გადაუხდელი სესხის ძირითადი თანხაც უნდა ასახულიყო ვალდებულებების ანგარიშზე.

ფულადი სახსრები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის საბალანსო ანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკში“ ერიცხება ყოფილი სამინისტროების (ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის) ბალანსებიდან გადმოსული გაურკვეველი ნაშთი - 210,370 ლარი, რომლის არსებობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული.

არამატერიალური აქტივები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2015 წლის ბოლოსათვის ირიცხება 2,632,972 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები, საიდანაც 54,495 ლარის აქტივები წარმოადგენს ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც მოძველებულია და აღარ გამოიყენება, შესაბამისად არამატერიალური აქტივების მუხლი არასწორად გაზრდილია 54,495 ლარით.

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სსიპ - ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას „სხვა მცირეფასიანი აქტივების“ სახით ბალანსზე ერიცხებოდა 79,273 ლარის ღირებულების ვიდეორგოლები. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთხსენებული ვიდეო რგოლების ისტორიული ღირებულება წარმოადგენდა 500 ლარზე მეტს, 2015 წელს ადმინისტრაციამ განახორციელა მათი რეკლასიფიკაცია, ასახა არამატერიალური აქტივების ანგარიშზე და წლის ბოლოს დაარიცხა 8 წლის ცვეთა (63,418 ლარი). 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვიდეო რგოლების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 15,855 ლარს. აღნიშნული ვიდეო რგოლები არ აკმაყოფილებს ინსტრუქციით³ განსაზღვრულ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, კერძოდ არ გამოიყენება მრავალჯერადად. გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული არამატერიალური

3 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება მუხლი 32, პუნქტი 4

აქტივების ღირებულება არასწორად გაზრდილია 15,855 ლარით, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოხმარების მაჩვენებელი (ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება) - 63,418 ლარით.

ძირითადი აქტივები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 2,513,335 ლარის არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა 2009-2015 წლებში განხორციელებული კაპიტალიზირებადი დანახარჯების შესახებ დეტალური ინფრომაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნაშთი 298,435 ლარით ნაკლები ღირებულებით არის წარმოდგენილი.

2013 წელს სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა ლიფტის შესყიდვა და დამონტაჟება, რომლის ღირებულება 57,947 ლარი კაპიტალიზებული იქნა და დაემატა არასაცხოვრებელი შენობების ღირებულებას, საიდანაც შემდგომში ხდებოდა 1%-იანი ცვეთის დარიცხვა. გამომდინარე იქიდან, რომ არასაცხოვრებელი შენობებისა და ლიფტის მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამასთან ლიფტზე დასარიცხი ცვეთის ნორმა შეადგენს 10%-ს⁴, ლიფტის შესყიდვისა და დამონტაჟების ღირებულება არ უნდა დამატებოდა არასაცხოვრებელი შენობების ღირებულებას, შესაბამისად მას ცვეთა უნდა დარიცხვოდა ცალკე, ხსენებული ნორმის გათვალისწინებით⁵. ზემოაღნიშნულის გამო აქტივები გაზრდილია 15,646 ლარით.

ანალოგიურად, 2015 წელს სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ სამშენებლო სამუშაოებთან ერთად მოხდა 52,455 ლარის ღირებულების სამგზავრო ლიფტის შეძენა და მონტაჟი, რომელიც დაემატა შენობის ღირებულებას და ცვეთა დაერიცხა 1%. გამომდინარე აქედან, ძირითადი აქტივების მოცულობა არასწორად 4,721 ლარით არის გაზრდილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სსიპ - საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოზე 2008 წელს უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემული, ქ. თელავში მდებარე შენობის ნაწილი (192,9 მ²) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწა ნაცვლად 2,269 ლარისა ბალანსზე ასახულია 9,078 ლარით. შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული აქტივის ღირებულება 2,087 ლარის ნაცვლად წარმოდგენილია 8,275 ლარით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ბანალის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლზე ირიცხებოდა 574,909 ლარის აქტივები. ფინანსური ანგარიშგების ბალანსსა და მის დანართებში აღნიშნული აქტივების ნაშთების შესახებ ჩანაწერები არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, რაც განპირობებულია იმით, რომ 2010-2014 წლებში არ ხდებოდა სააგენტოს მიერ შეძენილი აქტივების სრულად და ზუსტი თანხებით ასახვა. ამასთან, 2013-2014 წლებში ზემოთ ხსენებულ აქტივებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე არ მომხდარა ცვეთის დარიცხვა. სააგენტოში 2015 წელს ჩატარებული ინვენტარიზაცია

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", შიფრი 4037

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", მუხლი 1, პუნქტი 4.

არ იყო სრულყოფილი, რადგან ორგანიზაციის ბალანსზე არსებული აქტივების გარკვეული ნაწილი იდენტიფიცირებული არ არის.

სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბალანსზე 2015 წლის ბოლოს ირიცხებოდა 21,239 ლარის ძირითადი აქტივები, რომელთა ისტორიული ღირებულება ნაკლები იყო 500 ლარზე და არ აკმაყოფილებდა ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აღნიშნულ აქტივებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 1,704 ლარი.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბალანსზე „სხვა ნაგებობების“ სახით ირიცხებოდა გუდაურსა და ბაკურიანში არსებული სამთო ველო ბილიკების ღირებულება 235,191 ლარის ოდენობით. ბილიკები დაპროექტდა 2014 წელს, ხოლო მშენებლობა განხორციელდა 2015 წელს. ბილიკების აღნიშნული ღირებულება მოიცავს მხოლოდ პროექტის განხორციელების სამუშაოებს, ხოლო პროექტის შედგენის ღირებულება - 22,195 ლარი კაპიტალიზირებული არ არის და ჩამოწერილია ხარჯებში. შესაბამისად, ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული აქტივები, კერძოდ „სხვა ნაგებობები“ 22,195 ლარით ნაკლები მოცულობით არის წარმოდგენილი.

2015 წელს სსიპ - ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა დაბა ბაკურიანში, აღმაშენებლის ქ. N17-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში 30.89 მ2 ფართი და ქ. თბილისში, მტკვრის ქ. N3-ში არსებულ შენობაში - 147,37 მ2 ფართი. აღნიშნული აქტივები ადმინისტრაციის მიერ შეფასებული არ არის და ბალანსზე აღრიცხულია მხოლოდ მათი რეგისტრაციის საფასურით (შესაბამისად 55 ლარი და 50 ლარი). დარღვეულია სამართლიანი წარდგენის და სისრულის პრინციპები⁶.

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს ბალანსზე საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის ძირითადი საშუალებების სახით ირიცხებოდა ფიზიკურად არარსებული 42,694 ლარის აქტივები. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისებს, რომლებიც აღრიცხული უნდა იყოს #1440 საბალანსო ანგარიშზე (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით).

ინვენტარიზაცია

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ უწყებაში (სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო) 2015 წლის ბოლოს არ ჩატარებულა ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია, რაც შეუსაბამობაშია ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის⁷ მოთხოვნებთან.

კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული⁸ შიდა ჯგუფური ოპერაციები საერთო თანხით 571,112 ლარი (შემოსავლებში: ნებაყოფლობითი

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 10, პუნქტი 4, ქვეპუნქტი გ.გ. და გ.ი.

⁷ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N 605 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1.

⁸ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება #429, მუხლი 17, პუნქტი 29

ტრანსფერები, გრანტები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; ხარჯებში: მიმდინარე გრანტები, საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები).

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ვერ ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა საკითხთა აზრად

საბუღალტრო აღრიცხვის სისტემები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში, სსიპ - აკრედიტაციის ცენტრში და ააიპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნოში არ არის დანერგილი სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა. ამათგან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ბუღალტერიას აწარმოებს ქაღალდზე, ხოლო დანარჩენი ორგანიზაციები Microsoft Excel-ის გამოყენებით. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის⁹ თანახმად, დაწესებულების ხელმძღვანელი ნერგავს და განავითარებს სანდო, სრულყოფილ და ხელმისაწვდომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობას დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე.

დაქვემდებარებული ერთეულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციით¹⁰, ფინანსური ანგარიშგება განიმარტება როგორც ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის შედეგების სტრუქტურირებული ასახვა დროის განსაზღვრული მომენტისათვის. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურმა ერთეულებმა უნდა შეადგინონ ერთი ფინანსური ანგარიშგება, სადაც ერთობლივად აისახება როგორც უშუალოდ მათი ფინანსური მდგომარეობა, ასევე მათ მიერ განხორციელებული პროექტების თუ ღონისძიებების შედეგები. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ადგენენ არა როგორც ერთი ერთეულის ანგარიშგებას, არამედ ბიუჯეტით განსაზღვრული ცალკეული ქვეპროგრამებისა და ღონისძიებებისთვის ცალ-ცალკე. ფინანსური ანგარიშგების შედგენის ზემოხსენებულ პრაქტიკას იყენებენ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო.

⁹ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, მუხლი 14, პუნქტი ა.

¹⁰ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 2, ქვეპუნქტი 3³⁵

სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყო ისეთი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, რაც ბიუჯეტის პროექტის შედგენის ნაკლოვანებაა. კერძოდ:

- ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროცესის გაგრძელებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების შესყიდვისა და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2015 წელს სამინისტროს გამოეყო 900,000 ლარი, საიდანაც ათვისებულ იქნა 707,000 ლარი.
- ქ. თბილისში 2015 წლის 15-16 ოქტომბერს გასამართი საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 1,043,000 ლარი. ამავე ღონისძიების ორგანიზებისათვის სააგენტოს ასიგნებებიდან გახარჯულ იქნა 1,012,567 ლარი.

სახელფასო დანამატები

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლებზე, დანამატები გაიცემა ბრძანებებით, სადაც დანამატების გაცემის საფუძველად მითითებულია განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა, ზეგანაკვეთური მუშაობა და სხვა მიზეზები. აღნიშნული ფორმულირებით გაიცემოდა დანამატები სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სსიპ - სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახურში. თუმცა, როგორც განსაკუთრებული სირთულისა და მნიშვნელობის დავალებების შესრულების, ასევე იმ დავალებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც არ შედიოდა დანამატის მიმღებ პირთა მოვალეობაში, უწყებების მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ბრძანების საფუძველზე თანამშრომლებზე მთელი წლის განმავლობაში დანამატების დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს შინაარსისაა. მაგალითად, სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში დასაქმებული 80 თანამშრომლიდან 78 თანამშრომელს 2015 წლის მარტში წლის ბოლომდე დაუწესდათ ყოველთვიური სახელფასო დანამატი, ჯამურად 29,800 ლარის ოდენობით. რაც შეეხება უშუალოდ სსიპ-ების ხელმძღვანელებს, მათ ყოველთვიური სახელფასო დანამატები დაუწესდათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 28 იანვრის #1-1/26 ბრძანებით განსაკუთრებული სირთულის და მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. დანამატი ცალკეული სსიპ-ების ხელმძღვანელების მიმართ არათანაბარია და მათი ოდენობა მერყეობს თანამდებობრივი სარგოს 22%-დან 100%-მდე ფარგლებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ინფორმაცია სულ 2015 წელს სამინისტროში გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ.

	2015 წელი	წილი
თანამდებობრივი სარგო	18,886,081	67%
პრემია	5,546,293	20%
დანამატი	3,695,740	13%
სულ შრომის ანაზღაურება	28,129,424	100%

დასაქმებულთა რიცხოვნობა

საანგარიშო წლის განმავლობაში სამინისტროში რეალურად დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ საშტატო რიცხოვნობას. მაგალითად, წლის განმავლობაში ვაკანსიების საშუალო ოდენობა შეადგენდა: სამინისტროს ცენტრალურ აპარატში - 80 ერთეულს, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში - 18 ერთეულს, სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში - 5 ერთეულს, სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ეროვნულ სააგენტოში - 20 ერთეულს. შედეგად, თანამდებობრივი სარგოს მუხლში გამოთავისუფლებული სახსრები ხმარდებოდა პრემიებისა და დანამატების გაცემას. მაგალითად, სამინისტროს ცენტრალური აპარატის მომუშავეთა რიცხოვნობა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 275 საშტატო ერთეულითა და 5,480,000 ლარის ოდენობის შრომის ანაზღაურების ფონდით განისაზღვრა. თუმცა წლის განმავლობაში არსებული ვაკანტური ადგილების საშუალო რაოდენობამ 80 ერთეული შეადგინა. მიუხედავად ამისა, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა მცირედით ჩამორჩა ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს და 5,309,847 ლარის დონეზე დაფიქსირდა, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

აუდიტორთა ხელმოწერა

ბესიკ ქოჩიაშვილი
(წამყვანი აუდიტორი)

კორნელი გაბლიშვილი
(უფროსი აუდიტორი)

მირიან შარიქაძე
(აუდიტორი)

ალექსანდრე მღებრიშვილი
(აუდიტორი)

ჯაბა არჩუაძე
(აუდიტორ ასისტენტი)

გიორგი ჭანტურია
(აუდიტორ ასისტენტი)

სარდიონ მოსეშვილი
(აუდიტორ ასისტენტი)

თათია ცისკარაული
(აუდიტორ ასისტენტი)

Handwritten signatures in blue ink corresponding to the names listed on the left. The signatures are: ბესიკ ქოჩიაშვილი, კორნელი გაბლიშვილი, მირიან შარიქაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, ჯაბა არჩუაძე, გიორგი ჭანტურია, სარდიონ მოსეშვილი, and თათია ცისკარაული.